„ფორუმი 16+“-ის ყოველწლიური ჩვენება

Sixteen Plus Forum

30 ოქტომბერი - 1 ნოემბერი 2017
ქორთიარდ მერიოტი თბილისი
თავისუფლების მოედანი #4

Sixteen Plus Forum

რა არის „მდგრადი განვითარების მიზნები“

(SDG – Sustainable Development Goals)?

„მდგრადი განვითარების მიზნები“ არის 2015 წელს გაეროს წევრი 193 ქვეყნის მიერ დადებული შეთანხმება, რომ 2030 წლისთვის გადაჭრიან მსოფლიოს წინაშე მდგარ უდიდეს პრობლემებს - აღმოფხვრიან სიღარიბეს, დაიცავენ პლანეტას და შექმნიან კეთილდღეობას ყველასთვის. შეთანხმება მოიცავს 17 ამბიციურ მიზანს და 169 კონკრეტულ ამოცანას, რომელთა მისაღწევადაც საჭიროა მსოფლიოს მასშტაბით მთავრობებისა და საზოგადოებების ერთობლივი მუშაობა.

მიზნების ხელმომწერი თითოეული ქვეყანა გადის ე.წ. ნაციონალიზაციის პროცესს, ანუ განსაზღვრავს მისთვის პრიორიტეტულ საკითხებს და იღებს ეროვნულ სამოქმედო გეგმას. საქართველოში ეს პროცესი უკვე დასრულდა.

რა არის მდგრადი განვითარების მე-16 მიზანი (SDG 16)?

მდგრადი განვითარების მე-16 მიზანი (SDG 16) გულისხმობს მშვიდობიანი, სამართლიანი და ინკლუზიური საზოგადოებების ჩამოყალიბებას. იგი 2030 წლის დღის წესრიგის მთავარი საყრდენია, რადგან ეხება საზოგადოების ყველა ასპექტს - ანტიკორუფციულ საქმიანობა, კანონის უზენაესობა, მონაწილეობის გაზრდა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ძალადობის შემცირება და მშვიდობის ხელშეწყობა.

რა არის ფორუმი 16+?

SDG 16-ის განხორციელების სირთულიდან გამომდინარე „გაერთიანებული ერების ასოციაციების მსოფლიო ფედერაციამ“ (WFUNA)

შექმნა „ფორუმი 16+“ (შემადგენლობით: ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, საქართველო, გვატემალა, სიერა ლეონე, შვედეთი, კორეა, აღმოსავლეთ ტიმორი, ტუნისი და დიდი შვიდეულის ქვეყნები - G7+), რომლის მიზანია SDG 16-ის განხორციელების პროცესში დაგროვილი გამოცდილებისა და მიღწეული წარმატების გაზიარება.

რა არის ყოველწლიური ჩვენება?

„ყოველწლიური ჩვენება“ არის „ფორუმი 16+“-ის ღონისძიება, რომლის მიზანია SDG 16-ის განხორციელების პროცესში მიღწეული წარმატებების წარმოჩენა და გაზიარება. 2017 წლის ჩვენება რიგით პირველია და იმართება საქართველოში. სწორედ ამის გამო, ღონისძიების პირველი ნაწილი დაეთმობა საქართველოში მიმდინარე ანტიკორუფციულ და კარგი მმართველობის ინიციატივებს, განსაკუთრებით „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP – OPEN GOVERNMENT PARTNERSHIP) ფარგლებში, რომლის თავმჯდომარეობაც საქართველომ წელს მოიპოვა.

რატომ საქართველო?

საქართველო კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ქვეყანა წარმატებით შეებრძოლოს კორუფციას. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ქვეყანამ შეძლო გაეზარდა მთავრობის ანგარიშვალდებულება და საზოგადოების ნდობა, და შეექმნა სახელმწიფო სერვისების მიწოდების გამჭვირვალე და ეფექტიანი მოდელი ელექტრონული მმართველობისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

ქვეყანას ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობისა და ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვის კარგი გამოცდილება დაუგროვდა. იგი ასევე მოწინავეა „მდგრადი განვითარების მიზნების“ ნაციონალიზაციის პროცესში.

ფორმატი

2017 წლის ჩვენება გაიმართება 3 დღის განმავლობაში (30 ოქტომბერი - 1 ნოემბერი). პირველი დღე დაეთმობა გასვლით შეხვედრებს, ხოლო მეორე და მესამე დღეები - პლენარულ სესიებს.

ღონისძიების დაწყებამდე, 29 ოქტომბერს, რეგიონული და საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს ჩაუტარდებათ SDG 16-ის ადვოკატირებისა და განხორციელების სწავლება.

სამდღიანი კონფერენციის შემდეგ გაიმართება მთავრობების მაღალი რანგის წარმომადგენელთა შეხვედრა საკითხზე - როგორ გავაძლიეროთ პოლიტიკური მხარდაჭერა SDG 16-ის გარშემო.



Sixteen Plus Forum

პარტნიორები

კონფერენციის თანაორგანიზატორები და მხარდამჭერები არიან: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, საგარეო საქმეთა და იუსტიციის სამინისტროები, კორეის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, შვედეთის მთავრობა, კატარის საგარეო საქმეთა სამინისტრო, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), ავსტრიის განვითარების სააგენტო, TETRA TECH ARD, და სამოქალაქო საზოგადოების ადგილობრივი პარტნიორები „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) და საქართველოს გაეროს ასოციაცია.

მონაწილეები

კონფერენციას დაესწრება 120-ზე მეტი მონაწილე 20 ქვეყნიდან. მათ შორის იქნებიან მთავრობების, სამოქალაქო საზოგადოების (როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო), კერძო სექტორისა და გაეროს წარმომადგენლები.



განსახილველი საკითხები

მთავარი საკითხი

სამართლიანი საზოგადოებები: კარგი მმართველობის ხელშეწყობა, კანონის უზენაესობა და ანტიკორუფციული საქმიანობა

საქართველოს მთავრობა და არასამთავრობო სექტორის ორგანიზაციები წარმოადგნენ ამ მიმართულებით მათ მიერ გაწეულ საქმიანობას და მიღწეულ წარმატებებს, განსაკუთრებით „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ფარგლებში.

მეორადი საკითხები

ინკლუზიური საზოგადოებები: ინსტიტუციების გაძლიერება და მონაწილეობითი გადაწყვეტილების მიღების პროცესები

მშვიდობიანი საზოგადოებები: მშვიდობის შენარჩუნება და კონფლიქტის პრევენცია